უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №26

თბილისი 03.12.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:*

**დავით აფრასიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
**ნუგზარ სხირტლაძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
**მაკა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
**თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
**დავით ბედოშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიწადმოქმედების ინსტიტუტის დირექტორი;
**ირაკლი ღარიბაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი;
**რიმა ბერიაშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
**ლევან იმნაიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
**კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
**ნანა შარიქაძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
**ნოდარ შურღაია** - შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარის“ დირექტორი.

*საბჭოს მოწვეული წევრები:*

**ივანე ჩხაიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, პედიატრიის N4 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს "მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს" სამედიცინო დირექტორი, მედიცინის დოქტორი;
**კახაბერ ჭელიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, შინაგან დაავადებათა N1 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი;
**დავით გაგუა** - შპს - "დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის" პროფესორი, შპს "გაგუას კლინიკის" გენერალური დირექტორი, მედიცინის დოქტორი;
**დიმიტრი კორძაია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ადამიანის ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;

**დავით კობეშავიძე** - შპს - "იმედის კლინიკის" დირექტორი, ექიმი მეან-გინეკოლოგი, მედიცინის დოქტორი;
**გიორგი გოცაძე** - შპს "მედი ქლაბ ჯორჯიას" კლინიკური დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს გადაუდებელი მედიცინის ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი;
**გიორგი ბაქრაძე** - ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის ქირურგი-ონკოლოგი, მედიცინის დოქტორი
**ზურაბ ფაღავა** - შპს "სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრის" კარდიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი;
**ნინო შარაშიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის თერაპიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, შპს "კლინიკური კარდეოლოგიის ინსტიტუტისა" და შპს "სამედიცინო ცენტრ ციტოს" ექიმი-კარდიოლოგი, მედიცინის დოქტორი;
**პაატა ბუკია** - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფორსის მოადგილე;
**ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის უფორის;
**გიორგი ხუფენია** - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის პროფესიული მზადების სამმართველოს უფროსი;
**თამარ გვასალია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:*

**ლალი გიორგიძე** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
**სოფიო ვასაძე** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:*

**შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი:**

*ნოდარ პაპუკაშვილი - რექტორი;*
*გიორგი ამილახვარი* - ვიცე-რექტორი;
*ნათია ვაჭარაძე* - ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
*ირმა ნოზაძე* - ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე;
*ნანა ჯანაშია* - სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი;
*ქეთევან მდინარაძე* - ბიზნესის და ინჟინერიის სკოლის დეკანი;
*მექი ლობჟანიძე* - ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი;
ქეთევან ცხადაძე - სამართლის სკოლის დეკანი;
*მაკა კუჭავა* - მედიცინის სკოლის დეკანი;
*ნანა მდინარაძე* - სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი;

*ირინა მარგიშვილი* - უწყვეტი განათლებისა  და კარიერული ზრდის ცენტრის უფროსი.

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):*

ნინო ტალიაშვილი;
ანა მიხელიძე;
ქეთევან აფთარაშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:12 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 23-ე მუხლის 1[1] პუნქტის საფუძველზე სხდომას ესწრებოდნენ ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი და საბჭოს მოწვეული წევრების ¾. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომით დღის წესრიგი:**

1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრში 2018 წლის 27 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის წერილი, რომლითაც დაწესებულება ითხოვდა მის ავტორიზაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას. აღნიშნული წერილის საფუძველზე, ცენტრის დირექტორის 2018 წლის 29 ნოემბრის №1073-ე ბრძანებით შეწყდა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის ავტორიზაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იყო აღნიშნული საკითხის დღის წესრიგიდან ამოღება. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის საბჭოს მუდმივი და მოწვეული წევრები.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის ახალი წესრიგი.
**სხდომის დღის წესრიგი:**

1. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

1. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე Skype-ის მეშვეობით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, კოლინ რაბანმა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე ისაუბრეს ასევე ადგილობრივმა ექსპერტებმაც. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
უნივერსიტეტმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოს იმ ადმინისტრაციული დეპარტამენტების მდგრადობა და კრიტიკული ნიშა, რომლებიც გადამწყვეტია დაწესებულების მუშაობისთვის.

1.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
დაწესებულებამ უნდა გადახედოს მის დამოკიდებულებას ხარისხის უზრუნველყოფისადმი (განსაკუთრებით კი მისი სანდოობა კვლევის მეთოდებზე), ასევე ევროპის უმაღლესი განათლების სფეროში არსებული დაწესებულებების მიერ მიღებული მიდგომების სპექტრს. უნივერსიტეტმა ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურში მომუშავე პერსონალი ფლობდეს იმ კომპეტენციასა და ექსპერტიზას, რომელიც საჭიროა კითხვარების შესადგენად და მათი ადმინისტრირებისთვის, ასევე უზრუნველყოს, რომ შექმნას სათანადო პირობები პერსონალისა და სტუდენტებისთვის, რათა მათ წვლილი შეიტანონ კითხვარების შედგენასა და გამოკითხვის შედეგების ანალიზში.

1.3 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობა პროგრამების გადახედვისას მხარდაჭერილი იყოს ინსტრუქციებისა და მიმართულების მიცემით. პროგრამების გაუქმების გადაწყვეტილებების დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს დასაქმების ბაზრის მოთხოვნები, უკუკავშირი კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების შესახებ გამოკითხვის შედეგები, კონსულტაციები პროფესიონალურ ასოციაციებთან და ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკები.

**1.4 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი**

მედიცინასა და სტომატოლოგიაში პროგრამის მახასიათებლები და სწავლის შედეგები უნდა იყოს უახლესი და სრულყოფილი. უნდა მოხდეს პერსონალის განვითარება ინტეგრირებული სწავლების, პორტფოლიოებისა და ახალ კლინიკური შეფასებების მიმართულებით.

**1.5 სწავლის შედეგების შეფასება**

დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს, რომ სხვადასხვა, სათანადო სწავლის, სწავლებისა და შეფასების მეთოდები მორგებული იყოს პროგრამებზე ისე, რომ სწავლების პროცესსა და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის ნაწილში მოხდეს სტუდენტების მონიტორინგი და მხარდაჭერა და რომ ისწავლებოდეს და ფასდებოდეს ყველა წინასწარ განზრახული სწავლის შედეგი.

**1.6 პერსონალის მართვა**

- სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მკაფიო და გამჭვირვალე შეთანხმებები პერსონალის დასაქმებისთვის. დაწესებულება უნდა დარწმუნდეს, რომ ყველა თანამშრომელი აკმაყოფილებს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და რომ მათი დანიშვნა ხდება კონკურენტული და გამჭვირვალე პროცესის საფუძველზე.
- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პერსონალის შეფასების, ანაზღაურების/წახალისებისა და განვითარების გამჭვირვალე სისტემა, რომელიც დასაქმებულის მუშაობის შეფასებას დაეყრდნობა

**1.7 აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა**

აკადემიურ, აფილირებულ და მოწვეულ პერსონალთან შეთანხმებით, სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა დააზუსტოს სამუშაო დატვირთვის სქემა, სადაც მითითებული იქნება პერსონალის მართვის წესში ჩამოთვლილი სხვადასხვა აქტივობებისთვის განკუთვნილი საათები, ამასთან გასათვალისწინებელია პერსონალის სახელშეკრულებო ვალდებულებანი და საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები.

**1.8 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

დაწესებულება უნდა უზრუნველყოს, რომ სასწავლო უნივერსიტეტის რეგულაციები, მათ შორის ისინიც, რომელიც ეხება სწავლის საფასურის გადახდას, თანასწორად ვრცელდება, როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებზე.

**1.9 კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**

- დაწესებულება უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად და უზრუნველყოს, რომ ნაშრომების შეფასება იყოს ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი.
- სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს პერსონალის გამოცემების რაოდენობა საერთაშორისო და უცხოენოვან ჟურნალებში.

**1.10 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია**

- დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს გამჭვირვალე პროცედურები და მკაფიო კრიტერიუმები პროექტების შესარჩევად და სხვა სამეცნიერო აქტივობების დასაფინანსებლად.
- დაწესებულებამ უნდა გააძლიეროს მისი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ევროპის უნივერსიტეტებთან გაცვლით პროგრამებზე მოლაპარაკებების წარმოებით, ასევე უცხოელი პერსონალის მოზიდვისთვის ეფექტური სტრატეგიის შემუშავებით და უნივერსიტეტის კვლევით საქმიანობაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფით.

- დაწესებულებამ უფრო მეტად უნდა წაახალისოს სტუდენტები, რომ ჩაერთონ კვლევით პროექტებში.

**1.11 კვლევითი საქმიანობის შეფასება**

- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისთვის საჭირო უნივერსიტეტის სისტემის სრულყოფილი განხორციელება და მხედველობაში მიიღოს, რომ ეს ჩართულობა საფუძვლად დაედოს პერსონალის განვითარების შესაძლებლობას.
- აფილირებული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებასთან მიმართებით, სასწავლო უნივერსიტეტმა ასევე უნდა განიხილოს მათი კვლევაში ჩართულობა, როგორც შრომის ანაზღაურების ფაქტორი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტთა შეფასებით, თუ რამდენად აკმაყოფილებს დაწესებულება სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებულ ახალ სტანდარტებს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფში სამედიცინო მიმართულებით მუშაობდა თანათავმჯდომარე კრის სტივენსი. მისი მხრიდან დადასტურდა დაწესებულების მზაობა სამედიცინო პროგრამების განსახორციელებლად და შესაბამისობა ახალ სტანდარტებთან.

დაწესებულების რექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს გაწეული სამუშაოსთვის. მან განაცხადა, რომ ადმინისტრაციული პერსონალის რესურსის გაზრდის რეკომენდაციასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო, რომ განვითარების გეგმაში გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული პერსონალის გაზრდა. ასევე, მან დამატებით განაცხადა, რომ სწორედ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, დაწესებულებამ უკვე გამოაცხადა ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის პოზიციაზე ღია კონკურსი.

რექტორმა ასევე განმარტა დაწესებულებაში პროგრამების გაუქმების საკითხზე და აღნიშნა, რომ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი სტანდარტების დანერგვის შედეგად, 2017 წელს დადგენილი წესით დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება გაეუქმებინა რამდენიმე პროგრამა. რექტორის განმარტებით, თითოეული პროგრამის განვითარება მოითხოვდა მნიშვნელოვან ადამიანურ და ფინანსურ რესურსს. შესაბამისად, გადაიხედა დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით პროგრამების რაოდენობა. ასევე, დაწესებულების მხრიდან აღინიშნა, რომ იმ სტუდენტებთან მიმართებაში, რომლებსაც ამ ეტაპზე სტატუსი ჰქონდათ შეჩერებული, აღდგენის სურვილის შემთხვევაში, დაწესებულება იღებდა ვალდებულებას, უზრუნველყო მათი ან სხვა დაწესებულებაში მობილობა ან შიდა მობილობა სხვა პროგრამებზე.

ექსპერტების მხრიდან პლაგიარიზმთან დაკავშირებით გამოთქმულ რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფდა ამ მიმართულებით რიგი ღონისძიების გატარებას. მან განმარტა, რომ პირველ ეტაპზე შეიქმნებოდა სპეციალური კომისია, რომელიც კონტროლს გაუწევდა პლაგიარიზმის მიმართულებით საკითხებს. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო, რომ დაწესებულება გეგმავდა პლაგიატის აღმომჩენი ელექტრონული პროგრამის შეძენასაც.

რაც შეეხება სტუდენტთა სტატუსის შეჩერებასთან მიმართებით გამოთქმულ რეკომენდაციას, დაწესებულების რექტორის განცხადებით, დაწესებულებაში ნამდვილად არსებობდა ქართველი და უცხოელი სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებული გრაფიკი. თუმცა,

რადგანაც ექსპერტთა მხრიდან ამ მიმართულებით გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულება იმსჯელებდა აღნიშნულ საკითხზე და აუცილებლად გადახედავდა აღნიშნულ რეგულაციას.

საბჭოს წევრი, მაკა გველესიანი დაინტერესდა, თუ რამდენად ინფორმირებული იყვნენ უცხოელი სტუდენტები სწავლის საფასურის გადახდის ვადებთან დაკავშირებით.

დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების მხრიდან ელექტრონული რესურსების მეშვეობით უზრუნველყოფილი იყო უცხოელი სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როგორი პირობებით იყო გათვალისწინებული ხელშეკრულებების მიხედვით სწავლის საფასურის გადახდის საკითხი.

ექსპერტთა ჯგუფმა განმარტა, რომ ხელშეკრულებაში იყო აღნიშნული, რომ სტუდენტს სწავლის საფასური უნდა დაეფარა სწავლის დაწყებამდე, თუმცა, მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო, რომ ხელშეკრულებაში კონკრეტული ვადები არ იყო მითითებული. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებთან ინტერვიუს საფუძველზე გამოიტანეს დასკვნა, რომ ქართველი და უცხოელი სტუდენტებისთვის მოქმედებდა სწავლის საფასურის გადახდის განსხვავებული რეგულაცია.

დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებაში მოქმედი რეგულაციის მიხედვით ნამდვილად იყო გამიჯნული ქართველი და უცხოელი სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გადახდის ვადები. მისი განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება დაწესებულებამ მიიღო სტუდენტების ინტერესებისა და მათი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულებაში არსებული კვლევითი/სამეცნიერო კომპონენტის შეფასების საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არაერთი კვლევა ჩატარდა დაწესებულებაში. ამჟამად კი, მიმდინარეობდა 20-მდე კვლევითი პროექტი, მათ შორის რამდენიმე საეთაშორისო პროექტი. დასრულებული პროექტების შედეგად გამოიცა არაერთი მონოგრაფია და სამეცნიერო სტატია. ამასთან, მათ აღნიშნეს, რომ მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაწესებულებამ ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც 10-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. რაც შეეხება კვლევის შეფასების მექანიზმებს, აღნიშნული მიმართულებით წლის ბოლოს დაგეგმილი იყო კვლევის ეფექტიანობის შეფასების ეტაპის დაწყება. მიმდინარე კვლევითი აქტივობა შეფასდებოდა დარგობრივი კომისიების ჩართულობით. დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ დაწესებულების მხრიდან აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული კვლევითი პროექტების შეფასებაში მეტი გამჭირვალობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა დაწესებულებაში გაუქმებული პროგრამების საკითხით.

ექსპერტებმა განმარტეს, რომ ვიზიტისას დადგინდა პროგრამების გაუქმების მთავარი მიზეზი, კერძოდ, მიზეზი მდგომარეობდა აღნიშნულ პროგრამებთან დაკავშირებით სტუდენტების ნაკლებ დაინტერესებაში. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ მათი რეკომენდაცია

გულისხმობდა იმას, რომ პროგრამაზე ნაკლები მოთხოვნა არ იძლეოდა პროგრამის ავტომატურად დახურვის საფუძველს.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა და კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რამდენად სტრუქტურიზებული იყო აფილირებული პერსონალის ანაზღაურება. დაწესებულების ვიცე-რექტორმა განმარტა, რომ ვიზიტისას ექსპერტებს წარედგინათ ხელშეკრულების შაბლონი. აფილირებულ პერსონალთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა ორი მიდგომა, კერძოდ, ნაწილს ჰქონდა ფიქსირებული ანაზღაურება, რომელიც მოიცავდა, როგორც საათობრივ, ასევე კვლევითი აქტივობის კომპონენტს. ნაწილს კი, ჰქონდა საათობრივი ანაზღაურება, რომელიც, რა თქმა უნდა, განსხვავდებოდა სხვა პერსონალის საათობრივი ანაზღაურების ოდენობისგან.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა დაწესებულების ძირითადი კვლევითი მიმართულებებით.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ კვლევითი პროექტები ხორციელდებოდა შემდეგი მიმართულებებით: ბიზნესის ადმინისტრირება, სამართალი, მედიცინა, ინჟინერია და სოციალური მეცნიერებები.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა კვლევითი პროექტების დაფინანსების მექანიზმების საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში კვლევითი აქტივობის დაფინანსების ერთ-ერთი მექანიზმი იყო საგრანტო კონკურსი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობდა სამეტაპიანი შერჩევა. ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცია კვლევების დაფინანსებასთან დაკავშირებით გულისხმობდა მეტი გამჭირვალობის უზრუნველყოფას, რაც როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს მათი მხრიდან აუცილებლად იქნებოდა გათვალისწინებული. მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო, რომ თითოეულ კვლევით პროექტს განიხილავდა დარგობრივი კომისია.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა დაწესებულებაში არსებული ლაბორატორიების საკითხით. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ამ ეტაპზე დაწესებულებაში ფუნქციონირებდა შემდეგი ლაბორატორიები: ჟურნალისტიკის, სამართლის და სტომატოლოგიის.

საბჭოს წევრი, რიმა ბერიაშვილი, დაინტერესდა ქართულენოვანი სტომატოლოგიის პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით დაწესებულებაში არსებული გეგმით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე მხოლოდ ინგლისურენოვანი პროგრამა ჰქონდა სტომატოლოგიის მიმართულებით, თუმცა, სამომავლოდ, შესაძლებელია, სტუდენტებისთვის ქართულენოვანი პროგრამის შეთავაზებაზეც ეფიქრათ. აღნიშნული საკითხი დამოკიდებული იქნებოდა არსებული პროგრამის წარმატებაზე.

საბჭოს წევრი, რიმა ბერიაშვილი, დაინტერესდა მედიცინის მიმართულებით განხორციელებული კვლევითი აქტივობებით, კერძოდ კი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ფარგლებში ჩატარებული კვლევითი საქმიანობით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გამომდინარე იქიდან,

რომ სტომატოლოგიის პროგრამა იყო ახალ აკრედიტებული, ამ ეტაპზე აღნიშნული მიმართულებით კვლევითი აქტივობა ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა, რა თქმა უნდა, კვლევითი საქმიანობის განხორციელება იყო დაგეგმილი და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული.

საბჭოს მოწვეული წევრი დიმიტრი კორძაია დაინტერესდა დაწესებულებაში არსებული კლინიკური ბაზების საკითხით. დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე ჰქონდა დაახლოებით 30-მდე კლინიკური ბაზა, მათ შორის „ვივა მედი" (ყოფილი ლანცეტი), „წმ. მიქაელის საავადმყოფო", „პინეო" და სხვ.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა სამართლის მიმართულებით არსებული კვლევების საკითხით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე დაწესებულება თსუ-სთან თანამშრომლობის ფარგლებში ახორციელებდა პროექტს - „კაპიტალის ბაზრის სამართლის დარგის" განვითარების მიმართულებით. ამასთანავე, ამჟამად მიმდინარეობდა მუშაობა პროექტზე, რომელიც უკავშირდებოდა ელექტრონული მართვის სისტემას.

საბჭოს წევრი, ირაკლი ღარიბაშვილი, დაინტერესდა დაწესებულების საბიბლიოთეკო რესურსით. ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ ვიზიტისას დადგინდა დაწესებულების საბიბლიოთეკო რესურსის შესაბამისობა მოთხოვნილ სტანდარტებთან.

საბჭოს წევრი, ირაკლი ღარიბაშვილი, დამატებით დაინტერესდა პლაგიატის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულების მიერ გატარებული აქტივობების საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ამ მიმართულებით 2019 წელს დაგეგმილი იყო ელექტრონული ბაზის შეძენა, ამასთანავე, მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო, რომ მოცემულ საკითხზე იგეგმებოდა საინფორმაციო ღონისძიებების გატარებაც.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 18:40 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 19:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახულ გარემოებებზე, ასევე გაანალიზა დაწესებულების მიერ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე წარმოდგენილი პოზიცია. შესაბამისად, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული შეფასებები.
იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულება მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 სტანდარტებთან მიმართებით შეაფასა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, საბჭომ, მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე დაწესებულებას ანგარიშის წარმოსადგენად განუსაზღვრავდა 1 წელს.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტისათვის ავტორიზაციის მინიჭების და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 4 000-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**
მომხრე - 24
მოწინააღმდეგე - 0

**გადაწყვეტილება**

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის $56^2$ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, $56^3$ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202192643) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 4 000-ით.
დაწესებულება მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 19:15 საათზე.

**თავმჯდომარე**
დავით აფრასიძე

**მდივანი**
მაკა გველესიანი